# სახალხო გაზეთი

№ 1199 შაბათი, 31 მაისი 1914 წ. № 1199

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებები აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოლდანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვა განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძალიან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა


## ახალი კლუბის ბაღი ქართული თეატრის უკან

1-ლ ივნისს, კვირას, 1914 წ. ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ ახალი კლუბის ბაღში გაიმართება

# დიდი სეირნობა

გასართობებით გაჟვებისთვის და დიდებისთვის:

ამერიკული ბაზარი, ბედნიერი კლიტე, დაუშრეტელი ჯანწი, თვალთმაქცი, კონფეტტი, ყვავილები, ამურის სიცელქე, დედოფალა, რებუსი, რგოლების სროლა, სინემატოგრაფი და ცეკვა.

სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი. დასაწყისი 4 საათზე.

შესასვლელი ფასი დიდებისათვის 25 კაპ., პატარებისთვის და მოწაფეთათვის 15 კაპ. სეირნობის გამგე წ. კ. გ. ს. გამგეობა. 1236

---

დიდად დამწუხრებულნი ელდა და გიორგი რცხილაძენი, ილიკო და კოტე ნათაძეები და ვასო გურგენიძე გულითადის მწუხარებით, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველნი ერთად ერთი შვილის, მეორენი დისწულის, ხოლო მესამეთ დაუვიწყარი მამის ციმბირში გადასახლებულის

### ლადო გურგენიძის

გარდაცვალებას. შაბათს 31 მაისს გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად ნაძალადევში, ივერიის ღვთის მშობლის ეკლესიაში. წირვა და პანაშვიდი დაიწყება დილის 10 საათზე. 411.

---

დეკანოზი მიხეილ მახათაძე და ალექსანდრა საბას ასული შვილებითურთ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უდროოდ გარდაიცვალა, მათი დაუვიწყარი შვილი, სემინარიის მოწაფე

### შალიკო მახათაძე

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე. გამოსვენება კვირას 1 ივნისს საკუთარ ბინიდან (ნაძალადევი—ეკლესიის გალავანი). ნაძალადევის ეკლესიაში. 410

---

შაბათს 31 მაისს დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებული

### ნიკოლოზ ზაალ ესმე ლორთქიფანიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ქვრივი ბარბარე ნიკოლოზის ასული და შვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძეები. წირვა დაიწყება 10 ს., პანაშვიდი 12 საათ. 413.

---

## ქუთაისის ქალაქის თეატრი

შაბათს, 31 მაისს,

ბ. გერონტი ქიქოძე წაიკითხავს ლექციას შემდეგს თემაზე:

### მენიე და როდენი.

ლექციის დროს ბუნდოვანის ფარნით ნაჩვენები იქნება შემდეგი ნაწარმოებნი:

1) მენიე: მუშის ბიუსტი, მაღაროდან ამოსვლა, მთა-მადნის მუშა, მუშა წყლის სმის დროს, დაკარგული შვილი, მკა, მრეწველობა, მაღარო, ნავთსადგური, მთესავი.

2) როდენი: ვიქტორ ჰიუგო, ომის გენია, ოცნება, ფავნი და ნიმფა, ყმაწვილი ვაჟი და ქალი, აზრი, პარკი და ყმაწვილი, მოხვევნა (ორი ვარიაცია), მშვიდობით, დანაიდა, ხელები, მოაზროვნე, მადამ სემპსონი, რომეო და ჯულიეტა, ქარიშხალი, აპოლონი, კრიტიკოსი ყეფრუა, პირველი განშორება, დამჭკნარი მშვენიერება, პიგმალიონი და გალატეა, ევა, კარიატიდა, ნიობეია, სფინქსი, ამოცანა, კალეს მოქალაქენი, სასოწარკვეთილება, ცხვირგატეხილი მამაკაცი, მუდმივი გაზაფხული, ტვირთ-მძიმე, ბალზაკი, იკაროსი, ხელი ღვთაებისა, კოცნა, მუდმივი კერპი.

---

## ტფილისის ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა

აცხადებს, რომ

## ქართველ სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა

გადაიდო 8 ივნისისათვის. ყრილობა შესდგება ქ. ტფილისს, ქართულს თეატრში, კვირას, 8 ივნისს, 1914 წ. დღის 12 ს. ყრილობაში მონაწილეობა გადამწყვეტი ხმით შეუძლიანთ:

1) ქართ. დრამატ. საზოგადოებათა წარმომადგენელთ.
2) ქართ. დრამატ. წრეებისა და ჯგუფების წარმომადგენლებს.
3) მსახიობთა და სცენის მოყვარეთ.
4) სცენის მოღვაწეთ, რომელთაც კი რამე დამსახურება მიუძღვით თეატრისადმი, ან რამე დამოკიდებულება აქვთ მასთან.
5) მომხსენებელთ, რომელნიც რამე მოხსენებას წარმოადგენენ პროგრამაში აღნიშნულს კითხვებზედ.
6) მუსიკოსთ, მოქანდაკეთა და მხატვართ.
7) დრამატურგებსა და მთარგმნელებს.
8) ბეჭდვით ორგანოთა წარმომადგენლებს.
9) დრამატიულ საზოგადოებათა წევრებს.

ყოველი წევრი იხდის: მსახიობნი და სცენის მოყვარენი—1 მ., დანარჩენნი—2 მ. მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ პირადად და წერილობით ტფილისის დრამატ. საზოგად. კანტორასთან არსებულს მიმღებ კომისიაში პირველ ივნისამდე. ამ დრომდისვე მიიღება ყველა მოხსენებანი. 1193

---

## დიდი ცირკი ფ. ა. სუპატოვისა

მიხეილის პროსპექტზე, მუშტაიდთან.

დღეს, 31 მაისს, გაიმართება

### დიდი სადებიუტო-საგასტროლო წარმოდგენა.



დღეს მე-3 გასტროლია რუსეთში ერთად-ერთ პატარა ქალ-ჟოკეის, ქ-ნ მატილდა ვასილიამსისა, რომელიც თავისი უშიშარი ჯირითობით ამ სეზონში ძალიან მოსწონდა პეტერბურგის საზოგადოებას „მოდერნის“ ცირკში. მე-3 დებიუტი მოდური წყვილის ცეკვისა ბ-ნ სობოლევსკებისა, რომელნიც შეასრულებენ ტანგოს. დღეს მთელი დასი მონაწილეობს. დაწვრილებით პროგრამებში.

ცირკის დირექტორი ფ. იუპატოვი გამგე ხუნდაძე.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ ს. 405

---

## გორის პირველი კერძო სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებით.

კუთხე სობორისა და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

**კობერიძე მ. ს.** ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

**წინამძღვარიშვილი მ. დ.** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

**მესხიშვილი ს. ს.** ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**ბრიუხნერი მ. გ.** თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

**ზინზბურგი ა. ლ.** კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა წამლობა „606“, „914“. 1088

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვორონცოვის ხიდის ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებით სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი მ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>მაღალაშვილი ბ. ბ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე $12^1/_2$—1. ს.<br>ფიდოროვი ი. გ. ყოველ დღე, 11—12.<br>კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | მარკოვიჩი მ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.<br>მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.<br>დირადოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი მერაბიშვილი-დირადოვისა ლ. ყოველ დღე 11—12.<br>თიკანაძე ი. ი. ყოველ დღე 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე $12^1/_2$—1.<br>ფიდოროვი გ. ს. ყოველ დღე 11—2.<br>კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ნერვიულ სნეულებ. და ჭკუ. | ჯავახიშვილი ნ. ნ. საშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>ფონდოვი ბ ს. ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | ათენიანცი ნ. ა. ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი მ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. და ვენერ. ავ. | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1070

---

დილით **ქართული თეატრი** დილით

კვირას, 1 ივნისს, დილით ქართულ თეატრში გაიმართება

## სალიტერატურო-სამუსიკო დილა

### ლექციით

I

### ილია ნაკაშიძის ლექცია: რა არის ადამიანის სიცოცხლე?

II

**ლექსები და სიმღერები**

წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებს: აკაკი, ნ. ერისთავი, ი. გრიშაშვილი, ბ. ახოსპირელი, გ. ქუჩიშვილი, ნ. ჩხიკვაძე. ტფილისის ქართველ მომღერალთა გუნდი მ. კავსაძის ლოტბარობით შეასრულებს ხალხურ სხვა და სხვა სიმღერებს. გლეხურს ჩამოუვლიან ლეჟანიძე და ბაქაქური.

III

**ხუმრობა და სიცილი.**

ირეთელი წაიკითხავს იუმორისტულ ლექციას: „ჩვენი მზითვები“. ვ. აბაშიძე და ნ. გოცირიძე იმღერებენ „ვაი-ვუის“ ხმაზე საამდროვო კუპლეტებს. რ. ჯიბლაძე წაიკითხავს გურულ სცენებს. ი. სალირაშვილი დაუკრავს თარზე. დასასრულ გურულ ტანისამოსში გამოწყობილი გურული იცეკვებს ამოღებული ხმლით.

ადგილ. ფასი დაკლებულია. დასაწყისი დილის 12-ნახევარ საათ.

1239 გამგე ბ. ბეგლარიძე.

---

სეზონის დასასრული.

ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლში

შაბათს, 31 მაისს, სახ. სახ. არს. ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ

### ე. ნინოშვილის

გარდაცვალებიდან ოცი წლის შესრულების აღსანიშნავად მ. წულუკიძე წაიკითხავს მოკლე ბიოგრაფიას. წარმოდგენილ იქნება:

1) **ქრისტინე,** მხოლოდ 1 მოქ. 2 სურ. | 2) **სოფლის გმირები** მხოლოდ მეოთხე მოქ. სადგური.

მონაწილეობას მიიღებს წრის ყველა სცენის მოყვარე.

ადგილების ფასი 5—50 კ. დასაწყისი საღამ. 8-ნახევარ საათზე.

რეჟისორი ალ. წუწუნავა, რეჟ. თანაშ. ალ. გუგუშვილი.

1240 ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის ადმინ.

---

## ვაგზლის სამკურნალოში

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

**ნათიშვილი**—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

**მინასოვი**—ქირურგი, 11—12 საათამდე.

**პაპოვი**—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—$11^1/_2$ საათამდე.

**ციციშვილი**—შინაგანი და ნერვების 12—1 საათამდე.

**ექ. ქალი იოსელიანი**—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—$11^1/_2$ ს.

**სამხედრო ექ. კლდიაშვილი**—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 12—1 ს.

**ვაშაკიძე**—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.

რჩევის საფასური—50 კაპ. 1023

**წამლობა „914“ და „606“.**

---

## სანატორიუმი „რუსული დავოსი“,

აბასთუმანში.

ტუბერკულოზისა, სისხლ-ნაკლებთა, დაქანცულთა და ფილტვების სნეუ[...] ახლად დაავადებულთათვის. საუცხოვო განმარტოვებული მხიანი, უქარ[...] ფიჭვნარიან ტყეში. სანატორიუმთან მოწყობილია საკუთარი რენტგენის კაბი[...] თანამედროვე ფიზიკური წამლობა, ჰიგიენა-დიეტაზე დამყარებული, სპე[...] ბა ტუბერკულინით, ხელოვნური პნევმოტორაქსი და ტყირპის წამლო[...] ვებით. საკუთარი მეძროხობის ფერმა. სრულის პანსიონით სამკურნალ[...] სხვა თვეში 120—200 მ. დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმარ[...] დირექტორს ექიმს გ. მეზრაბიანცს, აბასთუმანში. ზღვის [...]

ტფ. გუბერ.

---

ელექტრონის, რენტგენის

სამკურ[...]

სოფლი[...]

მიხეილ გ[...]

ნევრებით ავადმყოფთა მ[...]

საათ., საღამოთი 6-

ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალი კლუბი
(საზაფხულო თეატრი)
სამშაბათს, 3 ივნისს გაიმართება

## ვ. ა. გურკოს
## ლექცია
## „თეთრი საფრთხე“
(აღმოსავლეთი და დასავლეთი).

ლექციის შინაარსი: 1) აღმოსავლეთისა ❀ დასავლეთის კულტურის ბრძოლა; 2) ტრადიციული აზრი აღმოსავლეთის დაქვეითებაზე: დამოკიდებულება ქალების მიმართ, სისასტიკე, ფანატიკოსობა; 3) აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა შედუღების უნაყოფობა: ინდოეთი, იაპონია; 4) აღმოსავლეთში ქრისტიანობის ქადაგების დაჰარცხება; 5) ბოროტებისა და ტანჯვის საკითხი ქრისტიანობაში, ისლამი, ბუდდას მოძღვრება, ინდოეთის ფილოსოფია; 6) ნებისყოფის მისტიციზმი დევრიშებისა და ბუდდას მიმდევარ მისტიკოსებისა, თავისი-თავის შემუსვრის მისწრაფება; 7) ფილოსოფიური დებულებანი აღმოსავლეთის (ცხოვრებასა, აზროვნებასა და ხელოვნებაში; 8) ძირითადი სტიქია აღმოსავლეთისა: სუბიექტივიზმი; 9) სულიერი ქალწულებრივობა აღმოსავლეთისა: ბაბიზმი, სპარსული თეატრი, თაგორის პოეზია, ჩინეთისა და იაპონიის მხატვრობა; 10) თეთრი საფრთხე.

დასაწყისი სწორედ საღამოს 9 საათზე. ადგილების ფასი ერთი აბაზიდან ექვს აბაზამდე. სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან კაცები 1 მან., ქალები 50 კ., სტუდ. 25 კ. ბაღში უკრავს რუმინელთა ორკესტრი კოვაჩის ლოტბარობით საღამოს 10 ს. ღამის 3 საათამდე. 1211

---

ტფილისის ქართველ მოყვარულ-მგალობელთა გუნდი
## მიხეილ კავსაძის
ლოტბარობით,

რომელიც შემდგარია 25—50 კაცისაგან, გუნდის საკუთარ ეროვნულ ტანისამოსში (ჩერქეზული, ქულაჯა და გლეხური) გამოწყობილი ასრულებს 60-ზე მეტს საქართველოს ყველა კუთხის ხალხურ სიმღერებს და ქართლ-კახურ 3 ხმოვან საეკლესიო გალობას, გადაღ. ძველ ქართველ მუსიკოსების: ფ. ქორიძისა, ი. რატილისა, მ. ბალანჩივაძის, ია კარგარეთელისა, ზ. ჩხიკვაძისა, ძმ. კარბელაშვილებისა, ალექსანდრე კავსაძისა და სხვათა მიერ; იღებს მონაწილეობას საზაფხულო კონცერტების მოგზაურობაში, სასიმღერო დილა-საღამოებზე, სეირნობებზე და სხვა, როგორც ტფილისში, ისე პროვინციებში. გუნდი ასრულებს აგრეთვე პატარ-პატარა სცენებს სიმღერა-თამაშით სოფლის ცხოვრებიდან და სხვ.

გუნდის მიწვევის შესახებ მოლაპარაკება პირადათ ლოტბართან: ავჭალის ანუ ჩერქეზიშვილის ქ. № 29, სამშაბათ-პარასკეობით 6—8, კვირაობით 4—6 საათ.

გუნდის გამგეობა. 1242

---

## ხაროუხის საზოგადო კლუბი
გადავიდა საზაფხულო სადგომში, მიხეილის პროსპექტზე, სინემატოგრაფ „აპოლოს“ გვერდზე, № 131, ბაღი ინჟენერ ბარტისა.

დღეს, 31 მაისს, **საოჯახო საღამოა**
სინემატოგრაფი, მუსიკა და ცეკვა.

სტუმ. იხდიან 25 კ. კვირას, 1 ივნისს, სინემატოგრაფი, მუსიკა და ცეკვა. 1237

---

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის
## სამკურნალო
ქალ. ბაქოში
მუდმივ საწოლებით:
სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.
ფასი მორიგებით.
ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1084

---

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე ნაშუადღ. 2—3 საათ., საღ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილის 8—9 ს., კვირ. ავადმ. არ იღებს. მთაწმინდის ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.

---

ექიმი
## ივ. გომართელი
მიიღებს ავადმყოფებს ბორჯომში, პირველ თიბათვიდან პირველ ენკენისთვემდე. 404

---

ქ. ბ ო რ ჯ ო მ ი
ექიმი (დ ო ქ ტ ო რ ი ც ა ნ.) მ. დ. წინამძღვრიშვილი
ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტ. და ხიხხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ. 1050

---

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა ❀ კანის ავადმყ. განსხვრ. მეთოდ. რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიდება ნაშუადღ. 3—5 1/2 ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლოს, სფოსტო განყოფ. პირდაპირ.

---

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის წერ... კლინიკაში.
იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ...მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12; იქვე ... ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 1011

---

ექიმი შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე მიხაილის პროსპექტი № 117. ტელეფონი 8—16

---

...ლინის უნივერსიტეტის
...ციცინის დოქტორი
...ერაბიანცი
...ამ „რუსული ...თუმანში,
ავადმყოფებს.
...ქი და გულის ...ისათვის შე... ...ჩეგვმო... ...ისა


## ტფილისი, 31 მაისი

**წერა-კითხვის საზოგადოების კრების გამო.** იშვიათია ისეთი ქართული დაწესებულება, რომელსაც წერა-კითხვის საზოგადოებისთანა ნდობა და სახელი ჰქონდეს მოპოვებული ქართველ ხალხის ფართო წრეებში. ამ კულტურული დაწესებულების საქმეები წლითი-წლობით იზრდება და რთულდება. მრავალ ადგილას გახსნილია განყოფილებანი, რომელნიც მიზნად ისახავენ წერა-კითხვისა და განათლების შეტანას ხალხში. რამდენადაც მეტად იზრდება საზოგადოების საქმეები, იმდენად პოპულიალური ჰხდება იგი და მეტსა და მეტს ხალხს იზიდავს თავისკენ. ამ სასიამოვნო მოვლენის მოწმე, უეჭველია, ყველა ის იქნება, ვინც ყოველ წელიწადს ესწრება საზოგადო კრებებს.

მაგრამ ამ სასიამოვნო მოვლენას თან ახლავს ერთი უარყოფითი მხარე, რომელზედაც არა ერთხელ მიგვითითებია და რომელზედაც დღესაც უნდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება: არიან ჩვენში ისეთი ტიპის ადამიანები,—მათ თვითეული თქვენთაგანი იცნობს,—რომელთაც განსაკუთრებული ჯგუფობრივ—ქიშპობა შეაქვთ საზოგადო საქმეში, რომელიც ყოველივე ჯგუფობრივი ინტერესების გარეშე უნდა იყოს. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ყოველ სამს წელიწადს ერთხელ, ე. ი. სწორედ გამგეობის არჩევნების დროს, სტერეოტიპიულად ერთი და იგივე სურათი მეორდება. ივსება დარბაზი ისეთი ელემენტით, რომელიც ჩვეულებრივ ...ზოგადო კრებებზე სრულიად არ ...და, მაშასადამე, არც ამ საზოგადო საქმეებისადმი ინ... მხოლოდ არჩევნების ...ნ ხოლმე ასეთი ელე... ...ლო იმიტომ, ჯგუფობრივი დემონსტრაცია მოახდინონ და მერე აღიგავნონ სამოქმედო ასპარეზიდან, თითქოს საზოგადოების დანიშნულება მხოლოდ ის იყოს, რომ ამა თუ იმ ჯგუფის სავარჯიშო მოედნად გადაიქცეს.

ფრიად სახიფათო და მავნებელია ასეთი ქიშპობის შეტანა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმეებში. იგი ერთად ერთი დაწესებულებაა, რომელიც ასე თუ ისე აკმაყოფილებს ჩვენს ეროვნულ მოთხოვნილებებს. დღევანდელ დუხჭირ ცხოვრების პირობებში ესეც დიდი რამეა. ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილე და სიდინჯე გვმართებს ამ დაწესებულების საქმეთა წარმოების დროს.

ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ არიან ფანატიკოსები, რომელნიც არამც თუ წერა-კითხვის საზოგადოებას, მთელ საქართველოს ინტერესებსაც კი შესწირავენ ჩვეულებრივ ქიშპობას. ხომ იყო მაგალითი, როდესაც გაზეთის საშუალებით აშკარად განაცხადეს, რეაქციამ ბევრნაირი დაწესებულება იმსხვერპლა და წერა-კითხვის საზოგადოებაც რომ იმსხვერპლოს, დიდი უბედურება არ იქნება! ასე ადვილადა სწყვეტავენ წერა-კითხვის საზოგადოების ბედიღბალს ხალხის ნაფიცი ქირისუფლები. დარწმუნებული ვართ, თავიანთ ავ ზნეს არც ეხლა უღალატებენ და მოვლენ კრებაზე ჯგუფობრივი ქიშპობის სადემონსტრაციოდ. როდესაც ამასა ვსწერთ, სრულიადაც აზრად არა გვაქვს მათზე რაიმე გავლენა მოვახდინოთ. ეს უნაყოფო შრომა იქნებოდა. ჩვენ გვინდა მხოლოდ ქართველ საზოგადოების შეგნებულ ნაწილს მოვუწოდოთ, მიიღოს ზომები, რომ ეს ერთად-ერთი კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულება მავნებელ და უხამს ჯგუფობრივი ბრძოლის ასპარეზად არ გადაიქცეს. ამას მოითხოვს ინტერესები იმავ საზოგადოებისა, რომელიც ყოველ შეგნებულ ქართველს, უეჭველია, გულწრფელად უყვარს.

## ქართული პრესა

გაზეთი „იმერეთი“ ყურადღებას აქცევს ერთნაირს მატყუარობას—შარლატანობას, რომელიც ძლიერ გავრცელებულია ჩვენს სოფლებში:

„ზნეობით დაცემული კაცი, პირად არსებობისთვის და უზრუნველყოფისთვის ძმასაც აღარ ინდობს, და თუ საჭირო იქნა, არათუ არ დაინდობს—კლდეშიაც გადასჩეხს. სამწუხაროდ, ამ სენმა არათუ ცოტად შეგნებულ ხალხში, არამედ განუვითარებლებშიაც ფესვი გაიდგა და გაძლიერდა. ასეთებად უნდა ჩაითვალოს სოფლებში ის ზნე-დაცემული პირები, რომელთაც ახალგაზრდობა შეცდომაში შეჰყავს და ატყუილებს. ეუბნება: „მე იმისთანა წამალს მოგცემ, რომ ჯარის კაცობას აგაცდენო“—და აძლევს რაღაც საწამლავს, რომელიც აღნობს და სიცოცხლეს ასალმებს ჯერ ისევ ნორჩსა და სიცოცხლით სავსე ახალგაზრდას. ასეთი ბოროტებით დიდიხანია, რაც ჩვენში მოქმედობენ, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდი ენა არავის დაუძრავს მათ წინააღმდეგ. ვინ იცის რამდენი დედა გამწარდა მათი წყალობით, ვინ მოსთვლის, რამდენმა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა მშობელმა დაჰკარგა უკანასკნელი ნუგეში“!

---

ჩვენი გაზეთის ხვალინდელ სურათებიან „დამატებაში“ მოთავსებულია: ლექსი სანდრო შანშიაშვილისა, მოთხრობა კ. მიმინაძისა; სურათები: ჟან-დარკი—ქანდაკება, გამოჩენილი ინგლისელი მსახიობი ირვინგი სხვა და სხვა როლებში და კარიკატურა.

---

# ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **კოტე მესხის** გარდაცვალების გამო რედაქციამ ხარკოვიდან მიიღო სამძიმრის დეპეშა ხარკოვის ქართველთა სათვისტომოს გამგეობისაგან.

✦ 29 მაისს კარლსბადში გარდაიცვალა ს.-პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს ტფ. განყოფილების გამგე კ. **ქალანთარი.**

✦ **ტფ. ტრამვაის მუშათა შორის.** 29 მაისს ტფილისის ტრამვაის მუშებმა ამოირჩიეს რამდენიმე კაცი ახლად ჩამოსულ უსახელო საზოგადოების რწმუნებულ როსინთან გასაგზავნად. მუშებმა ამორჩეულთ დაავალეს ეთხოვნათ როსინისათვის იმ ზედმეტ ნახევრის საათის სამუშაო ხელფასი, რომელიც დირექციამ მუშებს დაავალა. როსინმა მუშები მიიღო, მაგრამ წინადადება მისცა მათ ხელი მოეწერათ, რომ ისინი ნება დართულ კრებაზე იყვნენ არჩეულნი და რწმუნებულების ქაღალდი ხელში უჭირავთ. მუშებმა ხელის მოწერაზე უარი უთხრეს. როსინმა მუშები მოულაპარაკებლივ უკან გამოისტუმრა. 30 მაისს მუშები ითხოვდნენ პოლიცმეისტერის კანცელარიაში კრების ნებართვას რწმუნებულთა ხელმეორედ ამოსარჩევად.

✦ 27 მაისს ვიღაც უცნობი შეეცადა მარიამ კორძაიას დახრჩობას მდ. მტკვარში. 28 მაისს პოლიციელებმა დამნაშავე შეიპყრეს. იგი აღმოჩნდა იოსებ ყუბალაშვილი.

✦ 28 მაისს პოლიციელებმა ტფილისის სხვადასხვა უბანში 35 უპასპორტო შეიპყრო.

✦ **მუშების გაფიცვა ბაქოში.** გაზეთს „აზრს“ ატყობინებენ ბაქოდან: გუშინ გაიფიცნენ ნავთის მრეწველობის მუშები 50,000 კაცი. გაფიცულია ყველა ფირმები, ორის გარდა.

✦ საქართველოს ეგზარხოსის თანამდებობაზე ახალ პირის დანიშვნა ორ თვეზე ადრე არ მოხდება.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ **სახალხო სახლში ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის** წევრთა წლიურ კრების გაგრძელება მოხდა 27 მაისს თანამდებობის პირთა ასარჩევად. ძველმა გამგეობამ გადაჭრით უარი სთქვა ახალ არჩევნების დროს ყუთის დადგმაზე, რადგანაც საზოგადო კრების ზოგიერთი წევრი ჩვენზე ილაშქრებდაო. კრებამ დაადგინა, მიიღოს მხედველობაში გამგეობის ზოგიერთი ნაკლი და საერთოდ ნდობა გამოუცხადოს ძველ გამგეობას. ამის შემდეგ ძველ გამგეობის წევრებმა კვლავ უარი სთქვეს ყუთის დადგმაზე. არჩეულ იქმნენ ახალი წევრები: თ-დის ასული ე. დ. ბარათაშვილი, კ. ხახანაშვილი, ი. ბესელიძე, გ. ცინცაძე, დ. სადირაშვილი, სულავა, გოგელია, მაჭავარიანი და ნ. კოპალეიშვილი. მათ კანდიდატებად არჩეულ იქმნენ: ს. რომანიშვილი და სანაძე. კნეინა ა. მაჩაბლისამ მიუხედავად თხოვნისა უარი განაცხადა გამგეობის თავმჯდომარეობაზე. კრებამ დაავალა ახალ გამგეობას, ერთის თვის განმავლობაში შეიმუშაოს ინსტრუქცია სარევიზიო კომისიის სახელმძღვანელოდ და მაშინ წრის წევრთა საგანგებო კრებაც მოიწვიოს სარევიზიო კომისიის ასარჩევად.

✦ შაბათს, 31 მაისს შესდგება საჯარო კრება კავკასიელ ქალთა საზოგადოების ქართულ სექციის წევრებისა. კრებაზე ბ. ი. ანთაძე წაიკითხავს მოხსენებას „თამარ მეფის დრო“. ნაჩვენები იქნება ბუნდოვანი სურათები: კავკასიის რუკა, თამარი, კობენის მონასტერი. ანჩისხატისა და ბეთანიის მონასტრების ღვთისმშობლის ხატები და სხვა. მოხსენების შემდეგ იქნება წაკითხული ქართული სექციის წლიური ანგარიში და გამგეობისა და მუშა-ქალთათვის ვერის კლუბის კომისიის წევრთა არჩევნები. კრება დანიშნულია საღამოს 7 საათზე, საზოგადოების სადგომში, გოგოლის ქუჩა სახ. კალატოზიშვილისა № 64. კრებაზე დასწრება შეუძლიანთ არა წევრთაც.

✦ **ქალაქის საბჭოს** უკანასკნელი მორიგი კრება ამ სეზონში დანიშნულია ორშაბათს, 2 ივნისისათვის. რადგანაც საბჭოს კიდევ ბევრი განსახილველი საქმე დარჩა, ამიტომ კრებები 20 ივნისამდე გაგრძელდება.

✦ თელავის საურთიერთო ნდობის საზოგადოების კრებაზე არჩევნების დროს ვ. პაატაშვილმა პროტესტი განაცხადა უკანონოდ მომხდარ არჩევნებზე. მხოლოდ ეხლა წერილობითი განცხადება შეიტანა ახალ არჩევნების დანიშვნის შესახებ.

### სასწავლებლები

✦ ტფილისის სასულიერო სემინარია (6 კლასი) წელს ოცდა-ოთხმა კაცმა გაათავა. მათ შორის შემდეგნი ქართველებია; ბიწკინაშვილი, ზუკაკიშვილი, კვარაცხელია ლ., კვარაცხელია, გ. ლეონიძე, მიხეილიძე, ხუხუნი, უშვერიძე, ქინქარაძე და შავგულიძე.

✦ **საფერშლო სკოლაში,** რომელიც მიხეილის საავადმყოფოსთან არსებობს, 30 მაისს ეგზამენები დასრულდა. კურსი დაასრულა 29 კაცმა.

### სომხეთა ცხოვრება

**ტფ. სომხური დრამატ. საზოგადოება.** ამას წინად შესდგა ამ საზოგადოების წევრთა კრება გასული წლის ანგარიშის განსახილველად. გასულს წელს საზოგადოების გამგეობას დაუდგამს არტისტიული საზოგადოების თეატრში 19 წარმოდგენა, ტფილისის საკრებულოს დარბაზში 19 და ზუბალაშვილის სახალხო სახლში—9 წარმოდგენა. გარდა ამისა საზოგადოების დასმა რამდენიმე წარმოდგენა დასდგა ბაქოსა, ერივანსა, ყარსსა და ალექსანდრეპოლში. საანგარიშო წლის განმავლობაში დახარჯულია 28.410 მან. 15 კაპ., ნაცვლად განზრახული 23.800 მანეთისა. საზოგადოების შემოსავალი იყო 26.481 მან., რომლიდან წარმოდგენების შემოსავალი შეადგენს 13,476 მან. ხოლო სხვა და სხვა კერძო პირის შემოწირულება 12000 მან. კრებამ დაამტკიცა ანგარიში შემდეგ ხანგრძლივი კამათი გაიმართა სომხური თეატრის დღევანდელი დაქვეითების შესახებ. ზოგი ბრალსა სდებდა გამგეობას, ზოგი კი ამბობდა, რომ ეხლანდელი მდგომარეობის მიზეზები უფრო ღრმად უნდა ვეძიოთო; საჭიროა საკუთარი თეატრიო და სხ. ბოლოს კრებამ სურვილი გამოსთქვა, რომ მოწვეულ იქნეს სომხის სასცენო მოღვაწეთა ყრილობა.

### ქუთაისი

✦ გაზ. „ჩვენი ერის“ რედაქტორს ს. გერსამიას საოლქო სასამართლომ კიდევ 1000 მანეთის თავდები მოსთხოვა, გარდა იმ სამიათასი-მანათისა, რომელიც ამასწინად შეატანინეს.

✦ დამშეულთა დამხმარე კერძო კომიტეტმა გურიიდან მიიღო 1000 ფუთი სიმინდი. აქედან ჯიხაიშის მცხოვრებლებს დაურიგა 100 ფუთი—ქვიტირისას 23 ფუთი, ბაღდადისას 200 ფუთი, დანარჩენი დაურიგდათ იმათ, რომელნიც სიებში ჩაწერილი იყვნენ და სიმინდი კი არ მიეღოთ.

✦ ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა 8 ივნისს, ტფილისის სცენის მოღვაწეთა კრებაზე გაგზავნოს ალ. კრინიცკი.

✦ **გერონტი ქიქოძე** დღეს წაიკითხავს ფრიად საინტერესო ლექციას როდენისა და მენიეს შემოქმედების შესახებ. ლექცია შესდგება ქალაქის თეატრში. ლექციის დროს ლექტორი ბუნდოვანი სურათების საშუალებით აჩვენებს როდენისა და მენიეს ბევრ ნაწარმოებს.

### გორი

✦ სამეფო ქუჩაზე, ბეგთაბეგოვის სახლში, 22, სცხოვრობს ყოვლად უმწეო ქვრივი **ნინო მელაძისა.** იგი ავადმყოფია, ჯერ-ჯერობით არ შეუძლიან მუშაობა, ჰყავს ორი ქალი-ერთი ოთხის, მეორე წელიწად ნახევრისა და დიდ გაჭირვებასა და ტანჯვას განიცდის. იმედია ქველმოქმედნი არ დასტოვებენ მას უყურადღებოდ და თვის წვლილს მოაწვდიან ზემოხსენებულ მისამართით.

✦ როგორც ხმები მოგვდის სოფლებიდან, **მოსავალს წელს მეტად კარგი პირი უჩანს.**

✦ სანოვაგის ფასმა საშინლად აიწია გორის ბაზარზე. წიწილა 30-40 კაპ. იყიდება, ხელს უწყობენ ჩარჩები და ფასებს ხელოვნურად თანდათან უფრო სწევენ.

✦ ოთხშაბათს, 28 მაისს, ვარშავიდან ჩამოვიდა მეუღლითურთ იქაურ უნივერსიტეტის ლაბორანტი **გ. დ. გიუნაშვილი.** ბ. გიუნაშვილმა დაათვალიერა უფლისციხე, გორის ციხე, ადგილობრივი დაწესებულებები და სხვა. გადაიღო საისტორიო ნაშთთა სურათები. აქედან იგი მეორე დღეს ქუთაისისკენ გაემგზავრა.

### ბაქო

✦ რადგანაც შავი ჭირით აღარავინ გამხდარა ავად ერთი თვის განმავლობაში, სოფ. თურქიანთან მიმოსვლა განახლდა.

✦ ბალახანის რაიონში 10,000 მუშაა გაფიცული. სხვათა შორის წარდგენილია მოთხოვნილება, რომ დაწესებულ იქნას რვა საათის სამუშაო დღე და პირველ მაისობის დღესასწაული. გაფიცულებს მიემხრენ ბიბიებათის სამრეწველოთა მუშები. გაფიცულია 1500 მუშა.

### თელავი

✦ დავითობას 22 მაისს ქ. შ. წ.-კ. საზ. თელავის განყოფილების გამგეობამ თავის საპატიო წევრს ყ—ს. ეპისკოპოზ დავითს მისალოცი დეპეშა გაუგზავნა ქ. კამენეც-პოდოლსკში. ყოვლად-სამღვდელო დავითმა იმავე დღეს დეპეშით მადლობა გადაუხადა.

### ოზურგეთი

✦ თანახმად მისი თხოვნისა, გაანთავისუფლეს ქალაქის მოურავის თანამდებობიდან ბ. ალ. კალანდაძე.

### რაჭა.

✦ ადგილობრივ პოლიციას ყოველ სოფლებში, სავალდებულოთ გაუხდია გლეხებმა ხელმწიფის უქმეების დროს გამოაფინონ ჰიშკართან ბაირაღები. გლეხები ამით ძლიერ შევიწროვებული არიან. მათ ისიც არ იციან, თუ რა დღეს შეხვდება ასეთი უქმეები.

### სოფლად.

✦ **მუღანლო.** 28 მაისს იორი-მუღანლოს საზღვრებზე (სიღ. მაზ.) ოთხმა შეიარაღებულმა უცნობმა ს. გიორგიწმინდის მცხოვრებთა ნახირი წაასხეს სულ 200 მანეთისა.

✦ ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალებიდან 20 წლის თავზე სოფ. სამხთოში (გურია) მდ. გერ. ნაკაიძემ გადაიხადა წირვა და პანაშვიდი. აპირებენ აგრეთვე სალიტერატურო დილის მოწყობას.

✦ **ბაკურიანი.** 21 მაისს მოკლეს ჯავის საზოგადოების მამასახლისი (ოსეთში). მთავრობამ მკვლელები შეიპყრო, მათ შორის ბაკურიანის საზოგადოების სოფ. გუჯარეთის მასწავლებელი შაქრო სანაკოევი. ამბობენ, ვითომც მასწავლებელი სკოლას მოშორებია რამდენიმე დღით, ფეხით წასულა ს. ჯავაში და იქ მოსყიდულებთან ერთად ჩაუდენია მამასახლისის მკვლელობა და ისევ გუჯარეთში დაბრუნებულაო. 27 მაისს პოლიციელნი მოულოდნელად მას თავს დაეცნენ, გაჩხრიკეს, უპოვნეს ბერდანის თოფი, რომლითაც მამასახლისი მოუკლავთ, შეიპყრეს და ციხეში გაგზანეს. მკვლელობა პირად შურისძიებით ყოფილა გამოწვეული.

## ტფ. ქალაქის საბჭო

29 მაისის კრება.

კრების დაწყებამდე ხმოსნებს კერძო თათბირი აქვთ **გ. დ. ჟურულისა და ქალაქის გამგეობის შორის მომხდარ კონფლიქტის გამო.** ამ შემთხვევაში ხმოსნები თათბირის თავჯდომარის რუსანოვის პირით პრესის წარმომადგენელთ თათბირიდან ითხოვენ და ამით ჰღალატობენ თვის ტრადიციას. კერძო თათბირი იწყება საღამოს რვა საათზე და 10 საათამდე გრძელდება. თათბირი გადაჭრით ვერაფერს არკვევს. ხმოსნები ადგენენ, კვირას, 1 ივნისს კვლავ გამართონ თათბირი და საქმე საბოლოოდ გამოარკვიონ.

კრება იწყება საღამოს 10 საათზე ქალაქის მოურავის **ა. ი. ხატისოვის** თავჯდომარეობით, რომლის წინადადებითაც ფეხზე ადგომით პატივსა სცემს საქართველოს ეგზარხოსის ალექსის ხსოვნას.

**თავჯდომარე.** მოკლე ხანში ხმოსნებს პასუხს მივცემთ ყველა იმ შეკითხვაზე, რომელიც უკანასკნელ ხანს შემოიტანეს. მე უკვე გადავათვალიერე უკანასკნელ სამის თვის კრებების ოქმები. ზოგს შეკითხვაზე პასუხი მზადა გვაქვს, ზოგზედაც ვამზადებთ.

**ახალი შეკითხვა.**

**ხმოსანი თ-დი ვაჩნაძე.** ჩვენს საავადმყოფოებზე ბევრი ფული არის დახარჯული და კარგდაც არის მოწყობილი, მაგრამ აქვს დეფექტები. რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს. ერთს უქმე დღეს ჩვენ, სარევიზიო კომისიის წევრნი, საავადმყოფოების დასათვალიერებლად წავედით. სხვათა შორის, შემდეგი ვნახეთ: ზუბალაშვილის საბავშო საავადმყოფოს ერთი განყოფილებიდან მეორეში კარგა მოზრდილ მანძილზე ავადმყოფი ბავშვი ხელით გადაჰყავთ და არა საკაცეთი. ესეთი წესი შეუწყნარებელია და ვთხოვ გამგეობას, ყურადღება მიაქციოს.

**ხმ. კეილი.** (სარევიზიო კომისიის წევრი). თ-დი ვაჩნაძე სწორე ცნობას არ გვაწვდის. ბავშვი, ათის წლის ქალი, ხელში კი არ მიჰყავდათ, საკაცავი ზურგზე მოკიდებული მიჰყავდათ (სიცილი).

**თ-დი ვაჩნაძე.** საჭიროა იყოს რაიმე ინსტრუქცია საავადმყოფოების მოსამსახურეთათვის. აგრეთვე საჭიროდ მიმაჩნია, რომ მთავარმა ექიმმა იმ უბანში იცხოვროს, სადაც ეს საავადმყოფოებია.

**თავჯდომარე** ჰპირდება, რომ შესაფერი ღონისძიებანი მიღებულ იქნება; საავადმყოფოს წესდების შედგენას უკვე შეუდექითო.

**შეწირულება პოლიტეხნიკუმისთვის.**

**თავჯდომარე.** პარიზიდან ი. გ. თამამშევმა დეპეშით მაცნობა, რომ პოლიტეხნიკუმს 500 მან. ვსწირავო.

**ხმები.** ცოტაა... ცოტა...

**თავჯდომარე.** ვისაც ჰსურს, მეტი შესწიროს.

კაპგეროვის ქუჩა.

ხსენებული ქუჩის ბოლო (ავლაბარში) ქალაქის გამგეობამ შეჰკრა. მცხოვრებნი ამ გარემოებამ გასაჭირში ჩააგდო და გამგეობას სთხოვეს, ქუჩა კვლავ გაეხსნათ. ხმოსნებმა ქუჩა ადგილობრივ დაათვალიერეს.

საბჭო ადგენს, დააკმაყოფილოს კაპგეროვის ქუჩის მცხოვრებთა შუამდგომლობა.

„ხატისოვის“ პროსპექტი.

ხმ. გალსტიანცი. ხატისოვის პროსპექტი რიგიანად არ არის განათებული.

თავმჯდომარე ა. ი. ხატისოვი. იქ (ავლაბარში) ხატისოვის პროსპექტი არ არის. არის მხოლოდ უსახელო ქუჩა და თუ გნებავთ, იმაზე ილაპარაკეთ.

ხიდის ვაჭრობის მოწესრიგების საკითხი უდროობისა გამო განუხილველი რჩება.

# თავად-აზნაურთა საყურადღებოდ

ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. კ. აფხაზმა ტფ. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლებს შემდეგი ოფიციალური მიწერილობა გაუგზავნა:

„1913 წლის 25 ივნისს ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ ერთხმად და მხურვალედ გასცა პასუხი წინამძღოლთა და დეპუტატთა კრების მოწოდებას, რომ მისადებ ნადელების ფულიდან 15% გადადებული ყოფილიყო საერთო სასარგებლო სათავად-აზნაურო ფონდისათვის. მივდიოთ ბრწყინვალე ისტორიულ მაგალითს დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანისას, რომელმაც 1864—1870 წლებში ისეთი ფონდის დაარსებით საძირკველი ჩაუყარა ჩვენ სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკს.

შარშანდელი წლის განმავლობაში ზოგიერთი წინასწარი მუშაობა შესრულებული იყო; მაგალითად: მიღებულია მთავრობისაგან ნებართვა ფულის შესაკრებად, ეწყობა რიგი სამაზრო ხაზინებში ფულის დაჭერისა, დაიბეჭდა მოხსენება საგუბერნიო კრებისათვის ქართულ და რუსულ ენებზე, მაზრებში შედგენილ იქმნა იმ აზნაურთა სია, რომელთაც სანადელო ფულები ერგება.—ამ ჟამად კი უნდა განვახორციელოთ თავად-აზნაურობის დადგენილება 25 ივნისისა და ეხლავე დაუყოვნებლივ უნდა გაკეთდეს საქმე.

ამით მოგმართავთ თქვენ!

ჩვენ მიერ განზრახული დიდმნიშვნელოვან საზოგადო საქმის საუმჯობესოდ წასაყვანად, ნებას ვაძლევ ამ თავს გირჩიოთ, რომ ადგილობრივ აზნაურობას ნათლად გაუმარტოთ თუ რა მნიშვნელობა აქვს ჟამად საერთო წოდებათა ნივთიერ სალსრების ორგანიზაციების მოწესრიგებას და ჩვენი დაქსაქსული კულტურული და მორალური ძალების გაერთიანებას. ჩვენთვის ძლიერ ადი გახდა, რომ თავად-აზნაურობის ქონებრივი კეთილდღეობა დაეცა მრავალ შემთხვევაში თითქმის სიღატაკესობამდე. ჩამორჩენა თან თან წინ მიდის ჩვენი არართული სამეურნეო ცხოვრების ყოველ დარგში.

ქველმოქმედებისაკენ მიმართვა თავად-აზნაურთა წრეებში გადაიქცა უზარო, ჩვეულებრივ მოვლენად. ენერგია და კეთილშობილური გრძნობა სიამაყისა ზოგიერთ შემთხვევაში იშვიათად ისპობა.

მემამულეთა მამულების მესაკუთრობა საოცარი სისწრაფით ჰქრება, რისკენ საშინელი მუქარით ახლოვდება უდიდესი უბედურება—სამშობლოს დაკარგვა.

მაგრამ არის კიდევ არა ნაკლებ მნიშვნელოვანი გარეგნული მხარე. შეუძლებელია დავივიწყოთ და ამ უნდა გვახსოვდეს, რომ არა ჩვენ ვცხოვრობთ დედა-მიწის ზურგზე... ფიზიკურ არსებობისათვის ქიშპი და ბრძოლა, როგორც ეკონომიური, ისე საზოგადოებრივი, ეგვე საგვარეულო და საოჯახოც სხვასთან მწვავდება ჩ მდგომარეობით. ცოდნაში და ენერგიაში დაქვეითებულთ ცხოვრების ზე შეიძლება თავისი არსებობა ინარჩუნონ მსხვერპლად. ჩვენს დროში დაუდევრობა და უზრუნველობა ითი ნაკლია, რომელსაც ეროვნული დაღუპვისაკენ მიჰყავს.

უტყუარ ფაქტად უნდა იქმნას აღიარებული, რომ თავად-აზნაურობის მდგომარეობაში 1864 წ. და 1914 წ. დიდი განსხვავებაა. 1864 წელს თავად-აზნაურობას მაგრა და საიმედოდ ედგა ფეხი მიწაზე, რომელიც მაშინ ბაზარზე ჩვეულებრივ ყიდვა-გაყიდვის საგანს არ შეადგენდა. ეხლა კი მიწა ქანაობს ჩვენ ფეხ-ქვეშ და ჩვენ ყოველ წუთს მზადა ვართ გადავიდეთ მისგან.

ამ ორმოცდა-ათი წლის განმავლობაში ჩვენ დავკარგეთ საუკეთესო ნახევარი ჩვენი სამშობლოს მამულებისა, ეხლა კი ძლიერ ცუდათაა საქმე დანარჩენ ნახევრის შესახებაც.

და აი ამ ჩვენგან დამოკიდებულ და დამოუკიდებელ გარემოებათა სტიქიურ მოზღვავების დროს ჩვენა გვმართებს ჩვენშივე ვპოვოთ ნებისყოფა და საკმაო გონება, რათა დავიცვათ და შევინარჩუნოთ თვითარსებობა. ეს კი შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როდესაც იქნება უსათუოდ სოლიდარული საზოგადო მუშაობა და ქონებრივ ენერგიის შეგროვება.

ამისათვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებათაგანად უნდა ჩაითვალოს ზემოხსენებულ ფონდის დაარსება, ე. ი. უბრალო განმეორება იმისი, რაც ჩვენმა წინაპრებმა გააკეთეს, მათ კი შეჰქმნეს ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკი, ყველა ჩვენი საზოგადო დაწესებულების მაცოცხლებელი წყარო.

გაახსენეთ ადგილობრივ აზნაურობას დიმიტრი ივანეს ძის გულმხურვალე სიტყვები, რომლითაც მან აზნაურობას მიმართა 50 წლის წინად.

„სამართლიანობისა და წინდახედულობის მოვალეობის მიხედვით საჭიროა რომ მთელი ეს თანხა, ან მისი უდიდესი ნაწილი შენახული იყოს მომავალ თაობათათვის, მაგრამ იტყვიან,—რომ ჩვენ თითონ შევიწროება დიდი გვაქვს. და ყოველ ჩვენგანს უფლება აქვს გაჰყიდოს ან სხვანაირად მოიხმაროს თავისი ქონება, არაფერი არ დაუტოვოს მომავალ თაობას“.

„ამის წინაამდეგ დავა არავის შეუძლიან, მაგრამ მე მხედველობაში არა მყავნან ისეთნი, რომელნიც შეგნებულად ისარგებლებენ ამ უფლებით და ამიტომ მათ არ მივმართავ, არამედ ყველას თქვენ, როგორც წოდების წევრებს, რომელსაც შეუძლიან ნათლად დაინახოს და სისწორით შეაფასოს თავისი კერძო და საზოგადოებრივი მოვალეობანი“.

„თქვენ ხომ ყველანი დარწმუნებულნი ხართ, რომ ის ფულები, რომელსაც ჩვენ ეხლა მივიღებთ, მალე გაგვიქრება ხელიდან; მაშასადამე რაც მალე გაგვიქრება, მით უფრო დადგება ახალი, შეიძლება უფრო უმწვავესი საჭიროება მათი“.

მომავალი გამარჯვება ჩვენ მიერ განზრახულ საქმისა უმეტეს ნაწილად დამოკიდებულია ენერგიასა, ნებათყოფილობასა და თქვენს თანაგრძნობაზე, როგორც პიროვნებისა, რომელიც სათავეში უდგას მაზრის თავად-აზნაურობას.

გულწრფელად მრწამს და მჯერა ახალი წმინდა საქმის გამარჯვება, მჯერა და გაბარებთ თქვენ დიდმნიშვნელოვან ისტორიულ საქმეს.

ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. კ. აფხაზი.

ამასთანავე მაზრის წინამძღოლებს დაეგზავნა სია თავად-აზნაურთა, რომელთაც სანადელო ფულები ერგებათ.

# კონფლიქტი გ. დ. ჟურულისა და ქალაქის გამგეობის შორის

მკითხველთ ავერ ათი დღეა ესმით ტფ. ქალაქის გამგეობის წევრი გ. დ. ჟურული ამ თანამდებობას თავს ანებებსო, რადგანაც იძულებული გახდეს ასე მოიქცესო.

საჭიროდ მიგვაჩნია, მკითხველნი გავაცნოთ ამ საქმის ვითარებას, რომელიც საზოგადოებაში დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს:

ამას წინად განთავისუფლდა ქალაქის ექიმის ადგილი. მთხოვნელნი, რასაკვირველია, ბევრნი იყვნენ. ერთ ძლიერ კანდიდატად ამ თანამდებობაზე ითვლებოდა ბაქოს ნავთის მწარმოებელთა საბჭოს საავადმყოფოში მოსამსახურე ექიმი ბ-ნი ლორთქიფანიძე, რომლის მომხრეც იყო როგორც გ. დ. ჟურული, ისე ქალაქის გამგეობის დანარჩენი წევრებიც. ეს გარემოება გამგეობის ნებართვით გ. დ. ჟურულმა კიდეც აცნობა დეპეშით ექიმ ლორთქიფანიძეს. ექიმის ამორჩევის დღეს სურათი სრულიად შეიცვალა. გამგეობამ ერთხმად წინაამდეგ გ. დ. ჟურულისა ამოირჩია ტფილისელი ექიმი მაქარიანი. ასეთი მოპყრობა ამხანაგების მიერ გ. დ. ჟურულმა იწყინა, რადგანაც აქ დაინახა ინტრიგა და შეუძლებლად სცნო გამგეობის წევრად დარჩენა, რაიც კიდეც განუცხადა გამგეობას. ამ ხმამ, რასაკვირველია, ხმოსნების ყურამდეც მიაღწია და გაიმართა მოლაპარაკება. გ. დ. ჟურული დაარწმუნეს, რომ გამგეობა არავითარ ინტრიგას არ ეწეოდა და მაქარიანის დანიშვნა საქმის მდგომარეობამ გამოიწვია. გ. დ. ჟურული ამით რამდენიმედ დაკმაყოფილდა და მოისურვა კვლავ დარჩენა გამგეობაში. მაგრამ ზედ დაერთო მეორე გარემოება: გამგეობის ერთ-ერთმა წევრმა მ. ა. ჯაბარმა გ. დ. ჟურულს განუცხადა, ინტრიგა გამგეობის მხრივ უეჭველად იყოო. ორში ერთი ცხადი იყო: ან მართლა ეწეოდა გამგეობა ინტრიგას, ან არა და ჯაბარი სტყუოდა. უკანასკნელმა აღიარა, რომ მან გ. დ. ჟურულთან სთქვა რამდენიმე სიტყვა, მაგრამ ისეთ უხერხულ რედაქციით, რომ ბ-ნმა ჟურულმა ვერ გაიგო კარგად.

ასტყდა ხელმეორედ ალიაქოთი. გაიმართა მოლაპარაკება, მაგრამ გ. დ. ჟურულმა გადაჭრით განაცხადა, დარჩენა არ შემიძლიან ასეთ კოლეგიაშიო. ამ რიგად შეიქმნა ასეთი გარემოება, რომ გ. დ. ჟურული შეუძლებლად სცნობს მ. ა. ჯაბართან ერთად მუშაობას. მ. ა. ჯაბარი სამსახურისათვის თავის დანებებას არ აპირებს, ამიტომ გ. დ. ჟურულმა ქალაქის გამგეობას წერილებით განცხადება წარუდგინა, რომლითაც გადაჭრით უარს ამბობს გამგეობის წევრად დარჩენაზე და დაწვრილებით ჩამოსთვლის იმ მოტივებს, რომელმაც იგი იძულებულ ჰყო ასე მოქცეულიყო.

როგორც გავიგეთ, გამგეობას (ა. ი. ხატისოვს და მ. ნ. აათაბეგოვს) უკვე დაუდგენია მ. ა. ჯაბარს ამხანაგური გაკიცხვა გამოუცხადონ უტაქტიკო სიტყვებისთვის, მაგრამ ამით გ. დ. ჟურული არ დაკმაყოფილებულა.

კვირას, 1 ივნისს, ამ კონფლიქტის გამო ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კერძო თათბირი მოხდება.

# ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების წლიური კრება.

უკანასკნელი კრება მოხდა ოთხშაბათს, 28 მაისს დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში. კრებას თავმჯდომარეობდა ბ-ნი ბაქრაძე. კრების გახსნისათანავე მან საზოგადოებას აუწყა, რომ მის სახელზე სიტყვიერად თუ წერილობით რამდენიმე განცხადება შემოვიდა, რითაც ზოგიერთი წევრები არჩევნებს არაკანონიერად სთვლიან, ვინაიდან კენჭის ყრაში ისეთმა პირებმაც მიიღეს მონაწილეობა, რომელნიც ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა რიცხვს არ ეკუთვნიან. ამის გამო შესაფერი თხოვნით ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთათვის გაუგზავნიათ წარსულ კრებაზე კენჭის ყრაში მონაწილეთა სია. შემოწმებას აღმოუჩენია, რომ მხოლოდ ორი მონაწილე არ ყოფილა ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა სიაში.

თავმჯდომარე. ეს გარემოება, რასაკვირველია, არჩევნებზე ვერავითარ შესამჩნევ ცვლილებას ვერ მოახდენდა, ამიტომ ინციდენტი გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს. აგრეთვე კომიტეტის სახელზე შემოვიდა განცხადება თავ. დიმიტრი ჩოლოყაშვილისა, რომელიც მადლობას უხდის საზოგადოებას პატივისცემისათვის და უარს ამბობს თავმჯდომარის ამხანაგის თანამდებობაზე. ამ საკითხების გამო გაიმართა კამათი.

ვლ. გაჩნაძე ამტკიცებს, რომ შეუძლებელია, ყოველმა აზნაურმა მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა. მაგალითად თავად-აზნაურს დიდი ოჯახი ჰყავს, მაშინ მას შეუძლია მოვიდეს და კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღოს ცოლით, ვაჟებით და ქალებით; ეს უკანონობაა. ამას გამორკვევა და მოწესრიგება ესაჭიროება. ამ საკითხის გამო კამათი ცოტათი გაგრძელდა, მონაწილეობა მიიღეს თავ. დ. ჩოლოყაშვილმა, თავ. ვ. მაჩაბელმა, თავ. ვ. ვაჩნაძემ და სხვ. შემდეგ სასურველად სცნეს, რომ წესდების შესაფერი მუხლი გადასინჯული იქნას და კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„საზოგადო კრებამ მოისმინა რა ზოგიერთი წევრის განცხადებანი მაზედ, რომ საზოგადოების წესდების მე-4 § აშკარად არაა გარკვეული თუ ვინ ითვლება საზოგადოების ნამდვილ წევრად, დაადგინა: მიენდოს ამ საკითხის ყოველმხრივ განხილვა გამგე კომიტეტს და მომავალს მორიგს საზოგადო კრებას მოხსენდეს“.

ამის შემდეგ გაიმართა კამათი იმის შესახებ, კანონიერია წარსული არჩევნები თუ არა.

თავ. ვ. მაჩაბელი იმ აზრისაა, რომ არჩევნები უწესოდ მოხდა, უკანონოა და ამიტომ იგი დარღვეული უნდა იყვეს.

ივ. რატიშვილიც უეჭველად უკანონოდ სთვლის არჩევნებს.

ალ. დიასამიძეს შეუძლებლად მიაჩნია, არამც თუ კენჭის ყრა, არამედ ამ საკითხის აღძვრაც კი. რადგანაც ასეთი კანონი არ არსებობს, რომ იმავე კრებამ გააუქმოს არჩევნები, რომელზედაც არჩევნები მოხდა. ვისაც ჰსურს მას შეუძლიან მთავრობის წინაშე აღძრას საკითხი და შეიძლება გუბერნატორმა უკანონოდ სცნოს. აი მხოლოდ ამ გზით შეიძლება განსაჩივრება. სხვა ლაპარაკი მეტია.

ამის შემდეგ საკითხი მოიხსნა.

თავ. ბ. ხერხეულიძე თხოულობს თავმჯდომარისაგან, თუ რა მოტივებით ასაბუთებს თავ. დ. ჩოლოყაშვილი თავის უარს?

მიხ. ყიფიანი შეუძლებლად სთვლის ისეთ ამბებს, როგორიც მოხდა უკანასკნელ კრების დროს. კენჭის ყრაში მონაწილეობას გიმნაზიის „სტაროსტებიც“ კი იღებდნენ, ზოგიერთ მონაწილეთა საქციელი კი პირდაპირ არაზნეობრივად უნდა ჩაითვალოს. არჩევნების წინ რამდენიმე ხნის წინად ჩვენ ვიყავით თავ. დიმიტრი ჩოლოყაშვილთან და დიდხანს ვთხოვდით, რომ დათანხმებულიყო. მაგრამ მან კატეგორიული უარი განაცხადა. არჩევნების დღეს კი ტფილისშიც არ ყოფილა, ამდროს კი კრებაზე თავმჯდომარე რამდენჯერმე შეეკითხა დამსწრეთ აქვთ თუ არა დ. ჩოლოყაშვილისაგან რწმუნებულება და ასეთი რწმუნებულება განაცხადა თავ. დ. ჯორჯაძემ. ამასთანავე გამოირკვა, რომ თავ. ჩოლოყაშვილი თანახმა არ არის—რამდენად ეთიურია ეს! თავ. დ. ჩოლოყაშვილი ამბობს, რომ უკვე წერილში სთქვა ერთხელ და საჭირო არ უნდა იყოს ამ საკითხის ხელმეორედ აღძვრა. რაც შეეხება ყიფიანთან საუბარს ეს მოხდა რამდენიმე თვის წინედ.

თავ. დ. ჯორჯაძე. უპასუხებს თავ. ბ. ხერხეულიძეს და მ. ყიფიანს. იგი აღნიშნავს იმ გარემოებებს, რომელთა მიხედვით მან თ. ჩოლოყაშვილის თანხმობის რწმუნებულება იკისრა. ბოლოს ითხოვს საზოგადოების წინაშე რომ ასეთი უნებლიეთი შეცდომაში შეიყვანა.

„რაც შეეხება ეთიკას და ზნეობას ყველაზე ნაკლებ ამ საგნის შესახებ იმ ადამიანებს შეჰფერის ლაპარაკი, რომელნიც მე მისაყვედურებენ“.

შემდეგ თ. ჯორჯაძე მოითხოვს, რომ მას ხელახლად დაუდგან ყუთი საზოგადოების ნდობის გამოსაცხადებლად. მაგრამ საზოგადოება ნდობას უცხადებს კენჭის უყრელად. შემდეგ კრება დროებით შესწყდა ® მოილაპარაკეს თავჯდომარის ამხანაგის კანდიდატურაზე. ერთხმად უკენჭოდ სთხოვეს გ. მაღალაშვილს, რომელიც დასთანხმდა. შემდეგ მოხდა არჩევნები იმ კომისიის წევრებისა, რომელმაც უნდა გამოარკვიოს საკითხი, საჭიროა თუ არა მეოთხე განყოფილების გახსნა როგორც ვიცით კომისიაში აირჩიეს: ივ. რატიშვილი, თავ. გამყრელიძე, ალ. მირიანაშვილი, ს. ბაქრაძე და ვ. ყიფიანი.

# ლომისობა მთიულეთში

ს. მლეთაში (საქ. გზა) არის აგებული ეკლესია წმ. გიორგის სახელობაზე, რომელსაც უწოდებენ ლომისის ეკლესიას. დასავლეთით გაწოლილია დიდი მთა, რომელსაც უწოდებენ „ლომის მთად“, აქ არის აგებული დიდი ეკლესია ანანურის სობოროს სტილზე. ეს ეკლესია ეხლა უყურადღებოდ არის დატოვებული და ცხვრის და საქონლის ბინად გადაქცეული, შიგნით შერჩენია კიდევ სიმდიდრე და მრავალი ჩუქურთმები და წარწერები გარდა ზოგიერთისა, რომელსაც ხავსი მოუკიდნია. აქაური ნივთიერება და წმ. ხატები და ჯვრები ინახება მლეთაში შტატის ეკლესიაში. ამ ეკლესიას ქართველი ერი დღესასწაულობს სულთ-მოფენის მესამე დღეს ოთხშაბათს (წრეულს 28 მაისს). სამშაბათს ლოცვის გამოსვლის დროს ხევის-ბერნი შეიკრიბებიან ხოლმე შტატის ეკლესიაში, მიიტანენ დანიშნულს კულუხს ლუდს, არაყს, აღიდებენ ლომისის წმ. გიორგის და უმასპინძლდებიან დამწრე მლოცავთ. შემდეგ აიღებენ უძველესს ჯვრებს და ხატებს და გაემართებიან ლომის მთაზე ნანგრევ ეკლესიისკენ. ხევის ბერთ წინ უძღვიან მედროშენი დროშებით, ბოლოს ხალხი უკან ხევის ბერებს მისდევენ სიმღერით, ერთი გუნდი დაიძახებს:

„ლომისას ჯაჭვი ჰკიდია
არავინ იცის ვისია,
მოვიდა, ქალმა შესტირა
ეს ჯაჭვი ჩემი ძმისია“.

მეორე გუნდი:

„ლაშქრიდან გამოტანილი
შავგვრემანაათ ყმისია,
წითელი ოქრო დასწურა
ლომისის საკადრისია...

პირველი გუნდი:

„ხორეშანს ლაშქრად ვიყვენით
ჩვენ ლომნი ლომისანი
მუხლი გვქონდა და ვიხმარეთ
იმ ჩვენი ჰარმაკისანი“.

მეორე გუნდი:

„სადილობითი სამხრამდი
ჟამურს დავლახეთ ქვიშანი
იქ შემოგვესმენ ძღარანი
ჟამურ ბექ ცვიხის კლდისანი“.

მთაზე ეკლესიაში გდია მსხვილი ჯაჭვი, რამდენიმე საჟენის სიგრძე. რის მომგონებელია ეს ჯაჭვი სწორედ არავინ იცის. ზოგი ამბობს ლომისის დიდი ჯვარი მოიტანეს ლეკებმა და ამ ჯაჭვით ებათო, ზოგი ამბობს ეს ჯვარი ამ ჯაჭვით იყო აქ დაბმულიო და ლეკებმა რომ ვერ ახსნეს ცეცხლი მიუკიდესო. ჯვარი მართალია ცალ მხარეს შემურულია. მთაზე ხევის ბერებს მრავალი ხალხი ხვდება ქართლის მხრიდან მოსულნი, მუხლ-მოდრეკილნი, ყვირილით: „დიდება შენს სახელს დიდებულო ლომისის წმ. გიორგივ, გაუმარჯოს ლომისას!“ და ირეკება ხევის ბერისაგან თან წაყოლილი ჯვარი. ხევის ბერი ჰლოცავს მლოცველებს: „ლომისის წმ. გიორგივ, გაამრავლე ჩვენი მლოცველი, გაუმარჯვე სახლში მყოფს, უძლურს მიეც შეძლება, უშრავლე ფარი, ცხვარი, საქონელი შენცა (მიბრუნდებიან ს. ღუდისაკენ), ღუდის ღვთის მშობელო, იყავ შემწე და მწყალობელი, გაატახეთ თქვენი წყალობა თქვენი ქირიმეთ. ამინ“.

გააქვს ხალხს გუგუნი. მღვდელი მეორე დღეს ან იმავ საღამოზე ადის ამ ეკლესიაში სხვადასხვა წესის შესასრულებლად. მეორე დღეს საღამოზე ამნაირადვე ბრუნდება ხალხი და ხევის ბერნი ქვევით შტატის ეკლესიაში.

ამ დღეობისათვის დიდძალი ხალხი იყრის თავს მლეთაში, მოდიან ქართლ-კახეთიდან, არაგვის ხეობიდან ფშავლები, მთიულები. ტფილისიდან და კავკავიდან, ნახევარი მლოცავი პირიქით ქსნის ხეობაზე იყრის თავს. ათასობით იკვლის ცხვარ-კურატი. აქ არ იცის არც ქიდაობა და არც ჯირითი, ერთად-ერთი გასართობი თამაშია და დროს ტარებაა. საჭიროა ამ დღეობასაც მიექცეს ჩვენი ინტელიგენციის ყურადღება. ინტელიგენციის მისვლა და ხალხთან ბაასი, როგორც ეს ხდება ხოლმე სამება ოქროს კარიანში, ცოტათი მაინც გაუმჯობესებს დროს ტარებას და ჭკვა-გონებისათვის შესძენს რასმე მივარდნილ მთიულებს.

ვეფხვი.

# მოგზაურობა გორჩალოს მაზრაში

4

მანამ ყალამშიაში შევიდოდით, სოფ. კატასონოვოზედ გავიარეთ, ზედ ყალამშიას აკრავს და წალკა-ბაშვიჩეთის გზაზედ მდებარეობს.

კატასონოვო 1910 წლიდან დასახლებულია რუსებით და ცოტა ბერძნებიც ურევია. ეს სოფელი შეადგენს 2500 დეს. მამულს და მცხოვრები ითვლება 125 კომლი.

წინათ ეს მამული თ-დ ქობულაშვილის საკუთრებას შეადგენდა, მხოლოდ ყალამშიელებს, ვარდისუბნელებს და ბოსლეველებს ეჭირათ სღლალოთ. ეხლა კი თ-დ ქობულაშვილებმა ეს მამული მიჰყიდეს რუსებს და ახალ იზრაილის სექტას (რუსები არიან).

მართალია, ვიდრე ამ რუსებს მიჰყიდდნენ, ყალამშიელებს შეაძლიეს ეს მამული, მათ თავს არ შეიდეს და თავში საცემად გაიხადეს.

ახალი იზრაილის სექტა და ბერძნები აიყარნენ და მათი წილი მამული შეიძინეს ბოსლეველებმა—300 დეს., ყალამშიელებმა—560 დეს., თათრებმა—100 დეს. და 400 დესეტინას კიდევ ყიდულობენ. ყალამშიელებმა და ვარდისუბნელებმა ბერძნებისაგან იყიდეს კიდევ 160 დეს.

კატასონოვოდან 16 კომლი ბერძენი გადასახლდა საბერძნეთში და მათი მამული ყალამშიელებმა შეიძინეს.

რუსებსა და ქართველებს შეტაკება უხდებათ ერთმანეთს შორის ამ მამულის თაობაზედ, ვერ რიგდება საბალახოს და საძოვრის შესახებ, ბევრჯელ სისხლის ღვრაც უხდებათ.

ქართველებმა თუ ეს მამული შეიძინეს ისევ მღ. გიორგი ომაროვის მეცადინეობით და სადგილ-მამულო კომისიის შეწყობით, თუ ესენი არ ყოფილიყვნენ, ეს მამულიც ხელიდან წაუვიდოდა ქართველებსა.

სოფ. ყალამშიაში დროებით ვალდებული ყმები იყვნენ თ-დ ქობულაშვილებისა, ნადელი ეჭირებათ 200 დეს. სახნავი და ეს მამული თ-დ ქობულაშვილებმა უსასყიდლოდ დაუთმეს ყალამშიელებს.

მცხოვრებნი ითვლებიან—52 კომლი.

ყალამშიის სამრევლოს შეადგენს—138 კომლსა, ე. ი., მიჯისა, ბოსლევისა და ყალამშიისა.

არსებობს წერა-კითხვის გ... საზ. სკოლა, სწავლა, რა... რება მატერიალურის მხ... ნად სწარმოებს. დაუსწარით გაკვეთ... კითხეს ლექსები, სხვათა შორის ორმა მოსწავლემ წაიკითხა ზეპირად ის ადგილი სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან, სადაც ბატონი და ზაქრო ერთმანეთს ეკამათებიან, მოხდენილად წაიკითხეს; აგრეთვე ერთმა მოწაფემ წარმოსთქვა ლექსი:

„რა არის ვერ გამიგია,
როგორი განაჩენია,
მამული სხვისაა—
შრომა კი ჩემია“ და სხვ.

ზამთრობით 75 მოწაფე სწავლობს, გაზაფხულზე კი ნაკლებია.

არსებობს წვრილი კრედიტი და ამ ბანკის შემწეობით მამული შეიძინეს.

ყალამშიელებმა უკმაყოფილება გამოაცხადეს: ამოდენა გადასახადებს ვეღარ აუვედით, თვალყურის მდევნელი არა გვყავს ჩვენი გადასახადები სად ან როგორ იხარჯება. შევიწროებულნი ვართ ახლად დასახლებული რუსებისაგან, სისხლის ღვრაც გვიხდება ერთმანეთში.

თხოულობენ, მოგვიხერხეთ როგორმე სესხი, მამული ხელიდან გვეცლება, ბე მიცემული გვაქვს და, ლამის, ეს ბეც დავკარგოთ; დიდათ დაგვწია და შეგვაწუხა ამ მამულების შეძენამ. არაფერი გამორჩენა გვაქვს აქეთ მხარეს, ალებ-მიცემობა არავისთან გვაქვს და აბა საიდან უნდა გავხდეთ ღონესა.

ყალამშიელები მისდევენ და საზოგადოთ აქეთ მხარეს—ხვნა-თესვას. თესვენ: პურს, გაზაფხულის პურს, ქერს და კართოფილს, თუმცა სიმინდიც უნდა მოვიდეს, მაგრამ აქაურებს არ მოჰყავთ. მიზეზათ ის დაასახელეს, ერთხელვე არ ვართ შეჩვეული და ამასთანავე სათიბები ბლომათა გვაქვს და სიმინდისათვის ვეღარ ვცდილობთ—უფრო კი დაუდევრობით მოსდით.

სათიბები აქვთ საქონელს ® ცხვარს იყოლიებენ. მატყლი იაფია, ფუთი ექვს მანეთ ზევით არ სცილდება.

მღვ. გიორგი ომაროვმა გვაჩვენა თავის ცოლ-შვილის ნაქსოვი ხალიჩები, ფარდაგები—დაგებული ტახტზე და კედლებზე გაკრული, კარგი ნაქსოვი არის.

მეორე დღეს ბაშვიჩეთისაკენ გავემგზავრეთ ქვეითი ჩვენ, მღ. გ. ომაროვი და მასწავლებელი ყალამშიის სკოლასა გ. მაჭავარიანი.

ყალამშიიდან ბაშვიჩეთამდის 4 ვერსია. მარჯვნივ დაგვრჩა ლუკმის მთა, საძოვარი და სათიბია, რომელიც თ-დ. მიხეილ არღუთინსკი-დოლგორუკს დარჩენია სამოურავოში თ-დ ნიკოლოოზ ვახტანგის-ძე ორბელიანისაგან სამოც თუმანში. ამ ლუკმის მთის ძირში მდებარეობს თათრის სოფელი შინდლარი მიწაში ცხოვრობენ, ღარიბი სოფელია.

ამავე მიხეილ არღუთინსკის შეუძენია თ-დ. ნიკოლოოზ ორბელიანისაგან მამული შამარლო, სადაც მერძეობის და საქონლის მოშენების ქარხანა აქვს გამართული.

ავედით ბაშვიჩეთში, ბარომეტრი ვიჩვენებდა 2288 მეტრს სიმაღლესა. დუხაბორები ცხოვრობენ და ითვლება 58 კომლი; დაბას წარმოადგენს, დაყოფილია ქუჩებით ორ სართულიანი ქვითკირის შენობები, ქვეშ ბოსელი და ზედ საცხოვრებელი ოთახები სამმხრივ შემორტყმული აივნებით და კრამიტი გადახურული—.

აქ არსებობს ქსენონი, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა, საბოქაულო და სასოფლო კანცელარიები. ყველა ამ დაწესებულებისაგან საერთოდ სოფ. ბაშვიჩეთს შესდის ყოველ წლივ—3000 მანეთი.

ბაშვიჩეთის მამული ყოფილა თ-დ. ნიკოლოოზ ორბელიანისა, შეუძენია დუხაბორებს. მისდევენ ხვნა თესვას და საქონლის მოშენებას, მერძეობას. ყველანი შეძლებული ცხოვრობენ, ღარიბს არავის ჰნახავთ.

თრიალეთის მთებიდან სამ მხრივ მოდიან მდინარეები—მაშავერის სათავეები ერთვიან აქ ბაშვიჩეთთან და შეერთებულს ძალით მიექანება მდ. ხრამის შესაერთებლად.

ბაშვიჩეთის სამხრეთისაკენ შვიდირვა ვერსის სიშორეზედ მდებარეობს კუჩენბახის მერძეობის და საქონლის მოშენების ქარხანა. ეს 3000 დესეტინა მამული შეუძენია თ-დ. ორბელიანებისაგან-მაღლა საძოვრები დესეტინა—4 მანეთად და დაბლა ადგილი სათიბები, რომელიც წელიწადში ორჯელ ითიბება დესეტინა—11 მანეთად.

მშვენივრად აქვს მოწყობილ იქეურობა. მისი შეეიცარიის ყვ... კუჩენბახისა ცნობილია ყველას... ხელოვნურად აქვს გამართ... ტარა ტბა, საიდანაც დაბ... ლებს რწყავს, რომ ორჯ... თივა და აგრეთვე ქა... ხმარობს. აქვს გაშენ... ხეხილი თუ მცენარ... ხანაში მოჯამა... გირს 200—...

ამ...

ვისაუზმეთ. დავიქირავეთ დუხაბორისაგან ფურგონი, გამოვეთხოვეთ მღ. გიორგი ომაროვს, ჩვენ კიდევ მოგვემატა ყალბმშიის სკოლის მასწავლებელი გრ. მაჭავარიანი და შეუდექით გომარეთის გზას.

**Legatus**

(შემდეგი იქნება)

## ქვის გულები

გუშინ თუ გუშინ-წინ გაზეთში იყო მოხსენებული ახალი ამბათ, რომ კოტე მესხის პანაშვიდს ორიოდე არტისტი და ერთი გამგეობის წევრი დაესწრო.

რას გიკვირთ? ეს ჩვეულებრივი მოვლენაა!

ასე მალე ივიწყებენ ჩვენს მოღვაწეებს, მეგობრებს ცხრა დღის შემდეგ, დიახ, ცხრა დღის შემდეგ. ჰამლეტისა არ იყოს: „არ გასცვეთიათ ფეხსაცმელი, რომლითაც მისდევდნენ კუბოს" ძვირფასი კოტე მესხისას და სამუდამოდ ამოირეცხეს ხსოვნა დაუვიწყარ ადამიანისა.

ეს მოვლენა ცოტა ხნობით განზე გადავდოთ.

ამ რამდენიმე დღის წინად ქუთაისში გარდაიცვალა დამსახურებული მსახიობი ქალი დესპინე ივანიძე და ტფილისის დრამატიულ საზოგადოებამ, უბედური ადამიანის ხსოვნის მოსაგონებლად უბრალო პანაშვიდიც კი არ გადაიხადა.

ადამიანი, რომელიც 25 წლის განმავლობაში პირნათლად ემსახურებოდა ქართულ სცენას როგორც ქუთაისში, ისე ტფილისში, პირდაპირ შიმშილით მოჰკვდა და ჩვენ იმდენად გაგვქვავებია გული, იმდენად ჩამკვდარა ჩვენში გრძნობა მეგობრობისა, პატივისცემისა და მადლობისა, რომ უკანასკნელი გამოსათხოვარიც კი არ ვაღირსეთ.

**ი. გრი—ლი.**

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**30 მაისი.**

### უცხოეთი.

**ლონდონი.** კვლავ უწესოება მოახდინეს სუფრაჟისტ ქალებმა. ქ-ნი პანჰერსტი შეიპყრეს. ზოგიერთმა ქალმა პარლამენტამდე მიაღწია და ლიბერალურ პარტიის მდივანს გადასცა ქალთა მოთხოვნილებანი. მდივანი დაჰპირდა, რომ მუშა ქალთა მოთხოვნილებათ გადასცემს პარლამენტს.

საღამოს ვესტმინსტერის სამრევლო ტაძარში ყუმბარა აფეთქდა და ის სავარძელი დაღეწა, რომელშიაც გვირგვინს სდებენ ინგლისის მეფეები.

**პარიზი.** გაერთიანებულ სოციალისტების ჯგუფმა გადასწყვიტა რიბოს კაბინეთის წინააღმდეგ მისცენ ხმა, მაგრამ პალატაში სისტემატიური ობსტრუქცია არ მოაწყონ.

**ბელგრადი.** სამინისტრო კრიზისი დასრულდა. პაშიჩი კვლავ პირველ მინისტრად დარჩა.

**კოპენჰაგენი.** გაიხსნა მეორე სკანდინავიის ქალთა კონგრესი.

**სოფია.** საღამოთი მოიწადინეს ახალ მანიფესტაციის მოხდენა, მაგრამ მალე გაჰფანტეს. ბერძენთა შენობებს ჯარები იცავს. ქუჩებში სამხედრო დარაჯები დადიან.

სოფიაში მყოფი ბერძნული ეკლესია საბერძნეთის მისიას დაუბრუნეს.

**ათინა.** საბერძნეთის მთავრობამ მოითხოვა დაკმაყოფილება და იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მიაყენა სოფიაში ბერძენ მცხოვრებთ სახლებისა და ტაძრების აკლებამ.

**საყოველთაო გაფიცვა იტალიაში.**

**რომი.** ვეებერთელა პროცესია რამდენიმე ათასი მოქალაქისა გაემართა შინაგან საქმეთა სამინისტროსაკენ, სადაც დელეგატებმა მცხოვრებთა მხრით მოხელეებს სთხოვეს სალანდრასათვის გადაეცათ, რომ მცხოვრებნი დიდის პატივისცემით ეპყრო-ნ მთავრობასა და ჯარს. მანიფეს- … მოახდინეს აგრეთვე სასახ-…

…ილგან გამოვა გაზეთები. …ავები შესწყდა. …რპლად ქცეულ მუ-… …დროს მუშებმა ქვე-… …ზიებსა და სახ-… …ზმმა ისინი გაჰ-… …-კაცი დაჰ-…

ჰყვეს წინადადება მთავრობის შინაგან პოლიტიკის გაკიცხვისა, რომელიც სოციალისტმა კალდმა შეიტანა.

**მილანი.** დაადგინეს გაფიცვა შესწყვიტონ.

**ფლორენცია.** საღამოს სიწყნარე იყო. ხდება მანიფესტაციები ჯარების პატივსაცემლად. დილით შრომის პალატასთან შეჯგუფდა 3,000 კაცი. ბრბოდან ქვები და რევოლვერები დაუშინეს ჯარებს, ჯარებმაც სროლით გასცეს პასუხი. ერთი მოკლულია, რამდენიმე დაჭრილი.

**გენუა.** შრომის პალატამ წინადადება მისცა მუშაობა განაახლონ.

**ნეაპოლი.** მანიფესტანტების ჯგუფმა ქვებით სავსე „პოვოსკა" დაიჭირა და ქვები პოლიციელებსა და კარაბინერებს დაუშინა. სამი პოლიციელი იძულებული გახდა ერთ ფერმაში შეეფარათ თავი. აქედან ფერმერმა ბრაუნინგით ერთი მანიფესტანტი მოჰკლა.

**პარმა.** დილით გაფიცულებმა ჯარებს და პოლიციელებს ქვები დაუშინეს, ჯარებმა ბევრჯერ მიიტანეს იერიში. რამდენიმე კარაბინერი და ჯარის-კაცი დაჭრილია.

### რუსეთი.

**პეტერბურგი.** ფინლანდიის სენატის უქვეშევრდომილეს მოხსენების მიხედვით უმაღლესად დამტკიცებულია დადგენილება, რომლითაც ფინლანდიის ყველა სასწავლებელში ფიზიკური დასჯა მოსპობილია.

**პეტერბურგი.** სამხედრო და საზღვაო საქმეთა სათათბიროს კომისიამ არა სასურველად სცნო, რომ ჯარების რიცხვიდან რამდენიმე ათასი ჯარის კაცი გამოყოფილ იყვეს ყაჩაღებთან საბრძოლველად, ამიტომ უდროულად სცნო კანონ-პროექტი კავკასიისა და კასპიის იქით მხარეს საზღვრების დასაცავად და ყაჩაღებთან საბრძოლველად სამხედრო დასაცავ რაზმების გაძლიერებისა.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ სახელმწიფო სათათბიროში წარსადგენად მოიწონა კანონ-პროექტი რომ სამხედრო ბეგრის ვადის გადიდების შეღავათის პირობები შეცვლილ იყვეს, იმ აზრით, რომ მეორე ხარისხის შეღავათი შემცირდეს, სამაგიეროდ გადიდდეს მეოთხე ხარისხისა.

**პეტერბურგი.** სათათბიროს პირადი შემადგენლობის კომისიამ განიხილა საქმე დეპუტატებისა: კერენსკის გადაყენებისა, რომელიც პასუხისგებაშია მიცემული პეტერბურგის ნაფიც ვექილთა საქმის გამო, სკობელევისა, რომელსაც ციხე აქვს მისჯილი, და ეპისკოპოს ნიკონისა, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში მონაწილეობა არ მიუღია საერთო კრებებში—და დაადგინა: პირველის შესახებ საკითხი უმნიშვნელოდ სცნოს, რადგან მისი საქმის განხილვა დანიშნულია 3 ივნისისათვის, მეორის შესახებ—მისი განმარტებანი მოისმინოს, მესამის შესახებ გამოსთქვა აზრი, რომ წინააღმდეგია ეპისკოპოს ნიკონის ეხლავე გამორიცხვისა სათათბიროს წევრთა რიცხვისაგან.

**ბახმუტი.** ბახმუტის მარილის საზოგადოების ცენტრალურ მაღაროში მუშაობის დროს წყალი მიასკდა მაღაროს. სამასი კაცი გადაარჩინეს. საში დაიღუპა.

## თეატრი და ხელოვნება

**ახალი კლუბი.** ხუთშაბათს ქართველმა მსახიობებმა წარმოადგინეს ორი მხიარული ვოდევილი „დუელი" და „სიმართლე". უკანასკნელი მეტად აზრიანი და სასაცილო იყო და საზოგადოებამ ბევრი იცინა. კლუბის საზაფხულო თეატრი თითქმის სავსე იყო.

**სახალხო სახლი ზუბალაშვილისა.** დღეს, 31 მაისს ქართული წრის მიერ **ეგ. ნინოშვილის** გარდაცვალებიდან ოცი წლის შესრულების აღსანიშნავად **მ. წულუკიძე** წაიკითხავს მოკლე ბიოგრაფიას. წარმოდგენილი იქნება „ქრისტინე" პირველი და მეორე მოქმედება და „სოფლის გმირები" მეოთხე მოქმედება, სადგური.

## წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ, თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით პასუხი გავცე გუნდის გამგეობას, რომელიც მე გუნდის …ებში უტაქტიკობას და უგვანო …ა მწამებს, მავნე პირად მთვ- სცდილობს ყოველივე გზით … გაძევებულ მომღერლების ჩაგონებით დამამცროს საზოგადოების წინაშე. მე დიდი სიამოვნებით ჩავაბარებ კასას და ქონებასაც, თუ დავინახე, რომ ეს სასარგებლო იქნება იმ საქმისთვის, რომელიც ჩემის შრომით არის შექმნილი და რომელიც მე მიყვარს. გამგეობის დადგენილება ჩემი გამორიცხვის შესახებ უკანონოდ და უსამართლოდ მიმაჩნია, ამიტომ მე საჭიროდ ვთვლი, რომ ჩემს და გამგეობის შორის ატეხილი დავა განხილულ იქმნას გუნდის საზოგადო კრებაზე, სადაც გამოირკვევა, რომელი ჩვენთაგანი იქცევა უტაქტოთ და რომელი ჩვენთაგანი უშლის ხელს საქმის ნაყოფიერ მიმდინარეობას. დაინტერესებულ პირთ ვთხოვთ დაესწრნენ კრებას, რომელიც მოხდება ამა წლის სამშაბათს, 3 ივნისს საღამოს 4 საათზე. ავჭალის ქ. № 29, სამოქალაქო სკოლის შენობაში.

ტფ. ქართ. მომღერალ-მგალობელთა გუნდის ლოტბარი მ. კავსაძე.

## შემოწირულება

1 ივნისის სეირნობისთვის ქ. შ. წ.-კ. გამ. საზოგადოებას შემოსწირეს ნივთები შემდეგმა პირებმა:

ჩარახჩიანოვმა ქალის ქუთი, კორსეტი და საყელური, მიხეილ ნაზარბეგოვმა 3 კოლ. ნამცხვარი, 3 კოლ. ყავა, 1 „პიკული", კონსერვები ც სხვა სულ 21 ცალი სხვა და სხვა ნივთი, საზოგადოებამ „კახეთიამ" 40 ბოთლი ღვინო, დ. სარაჯიშვილის კანტორამ 40 ბოთლი კონიაკი, ონისიმე ახვლედიანმა „დუხი" 1 ფლაკონი 20 კ. ღირებული, მიხ. კასრაძემ 10 ბოთლი ღვინო 2 მ. 20 კ. ღირ., მარიამ გიორ. ბარნოვმა 1 ქამარი 50 კ. ღ., იაკ. საგანელოვმა სურათი ჩარჩოში 60 კ. ღ. კლიტიჩიანცმა 3 ცხვირსახოცი 36 კ. ღ., დავით მაზმანოვმა „ჩუსტები" 50 კ. ღირ., პლატონ ლაპარტყავამ ნახევარ გირ. ნამცხვარი 20 კ. ღირ., ანტონ ქაჯაიამ „სუხარნიცა" 50 კ. ღირებული, შ. კავთიაშვილმა 2 ყუთი ყავა 50 კ., გიორგი მესხიევმა „ნასკები" 40 კ. ღირებული, ავაკ ავაკიანცმა საყელოები 40 კ., კაჭკაჭოვმა 8 ნახევარ არშინი ჩითი და სარპინკა 1 მ. 70 კ. ღირებული, № „ლიფი" 1 მ. ღირ., № „ტანგო" ქუდი 1 მ. ღირ., მიხეილ ბაზიეროვმა 1 „პოდნოსი" ღირებული 1 მან.

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

**ეემ ნაგავარდიანი**
პირველი კერძო
**სამკურნალო**
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
**დ ი ლ ი თ:**
**„606" და „914"**
11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.
ბ. ა. ნაგახარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ... 1—2 ს. ... შინაგანი ავადმყ.
ზ. ... 10—11 ს. საბავშო ... ქალებისა — ბავშვებისა.
გ. გ. ბენიამინოვი: 10—11 ს. ყურისა ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. ... 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. შ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგან ... და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. გ. ტერ-... 1—2 ს. საბავშო და ქალების ავადმყ.
**ს ა ღ ა მ ო თ ი:**
მ. გ. ... 6—7 საათ.
... 50 კაპ. ... კონსულტაციები და ოპერაციები ...
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ნ. ა. ნაგახარდიანი.
1071

თეგზის მრეწველნი
**ძმ.**
**ძმველოვები.**
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

**განყოფილება ავლაბარში**
ფოსტის განყოფილების ქვეშ, საკუთარ სახლში.
**იყიდება იგივე ხარისხის საქონელი,**
როგორც პუშკინის ქუჩაზე.
1081

**ექიმი** ქალისა **ნინო რცხილაძე.**
გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.
იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

**საბურთალოზე**
მშვენიერ ალაგას
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ... ქუჩაზე, სახლი № 6, ... ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1078

**ს. ა. გრიაზნოვი ამზადებს**
გიმნაზიის, რეალურ და კომერციულ სასწავლებლის დაბალ, საშუალო და მაღალ კლასებისათვის, სამხედრო და მიწის-მზომლის საწ. პირველ კლასისთვის და სხვა და სხვა მოწ. მოზებზე. იყვანს სრულ პანსიონზედაც ვერა, იზმაილოვის შესახ. (ბელინსკ. ქუჩიდან), № 6 მესამე სართული 365

**ვასწავლი**
ქართულ
**„სიმღერა-გალობას"**
მიღება და ჩაწერა
**მიხეილ კავსაძესთან**
სამშ., პარასკ. 5—8, კვირაობით მუშებისათვის 3—6 ს. ვისაც გუნდის მიწვევა ჰსურს, ვთხოვთ პირადათ მომმართოთ. ა დ რ ე ს ი: ჩერქეზიშვილის, ანუ ავჭალის ქ. № 29, სამოქალაქო სკოლის შენობაში. 1228

**ც ა ღ ვ ე რ ი**
(ბაკურიანის რკინის გზა. ბორჯომიდან 12 ვერსზე)
10 ივნისიდან გაიხსნება პანსიონი „ანკარა"
**ელისაბედ მღებრიშვილისა**
პანსიონი მოთავსებულია ახლად აგებულ საკუთარ შენობაში, მაღლობ და განცალკევებულ სუფთა ადგილას, ფიჭვ-ნაძვნარში. პანსიონი შესდგება 40 ოთახისგან, პანსიონთან იმყოფება ექიმი, საგანგებოდ გამოყვანილია წყარო, იქნება ვანები, გასართობები, პიანინო და სხვა. სახლიდან მოსჩანს საუცხოვო სანახაობა.
პირობების გაგება შეიძლება 10 ივნისამდე გრიბოედოვის ქუჩაზე № 25 მესამე სართული და 10 ივნისის შემდეგ კი—წაღვერში. 1202

**ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები დრამატიული ნაწერები:

| | |
|---|---|
| აბაშიძე. ვოდევილები: იქვიანი, ბნელს ოთახში, ახირებულია 1 მოქ., 30 კ. | |
| — ორი ჯიბგირი. 5 მოქ., | 40 |
| ორი მშიერი. ვოდ. 1 მოქმ. | 7 |
| გედევანიშვილი. გამცემი, დრ. 3 მოქმ. | 25 |
| გლახაშვილი. დედი, დრ. 3 მოქ. | 20 |
| — მამა შვილი ანუ გაუბედურებულნი. | 15 |
| — თანამედროვე პიეს. „კოცნა" და „მოხერხებული ადუკანტი" 1 მოქმ. ვოდევილი. | 30 |
| — წყურვილი. დრ. 3 მოქმ. | 30 |
| გიგაური. შვილი უდანაშაულოდ დასჯილისა დრ. 4 მოქ. | 30 |
| გულისაშვილი. ორი პიესა. | 50 |
| ერისთავი დ. სამშობლო, მეორედ გაყმაწვილება, დავიდარაბა და სხ. სრული ნაწერები. | 1 მ. |
| ერისთავი გ. რჩეული თხუზულ. | 60 |
| — ძუნწი, კომედ. | 5 |
| — გაყრა, კომ. 4 მოქმ. | 5 |
| ვაჩნაძე. კაცი ვარ და ქუდი მხურავს. კომ. | 20 |
| ირეთელი. სოფლის გმირები. დრ. 4 მოქმ. | 25 |
| ილიას დღე ქიათურაში. | 20 |
| კუდიანი ვარსკვლავი. კომ. 1 მოქ. | 5 |
| რამიშვილი ტრ. ექიმი აშირბაჯიანი, 3 მოქმ. | 20 |
| — ცხოვრების ნაწყვეტი. ერთ მოქმედ. | 15 |
| საღამოს ერთი ცხვირი ხეირია. 1 მოქმ. | 10 |
| შიუკაშვილი. გამხმარი ფოთოლი. 4 მოქმ. | 20 |
| — მეგობრობა. დრ. 4 მოქ. | 30 |
| ყიფიანი ვ. სამეგრელოს მთავარი ლევან. ისტ. დრ. 5 მოქ. | 40 |

ადრესი: Тифлисъ. Книжн. маг. О-ва распр. грамотн. 1072

იშვიათი ვაჭრობა
იშვიათი ვაჭრობა
**პარიზული მაღაზია**
შეკერილი ტანისამოსისა
**ძმ. საფარიანცისა და ტერ-საარკოვისა**
მხოლოდ 12 დღით
ნამდვილი **უდიდესი იაფი ვაჭრობა**
მაღაზიაში არსებულ ყველა საქონლისა
მოდელები: პირველ-ხარისხოვან საზღვარ-გარეთის ფირმებისა (ასლის გადაღების მერე დარჩენილები),
უობელგვარ ჟურისა და ფასონისა
**იყიდება თითქმის ნახევარ ფასად.**
ფასები აღნიშნულია იარლიკის მეორე მხარეს ფერადის კარანდაშით და
უოვლად შეუვაჭრებლად.
გოლოვინის პროსპ., სამხედრო ტაძრის პირდაპირ. ტელეფ. № 2—58.
მხოლოდ 12 დღით
მხოლოდ 12 დღით
მხოლოდ 12 დღით

ტფილისი, სტამბა „შრომა", მუხრანის ქუჩა. ტელეფონი № 14—42.